



ლუქსემბურგი-საქართველო. მარჯვნივ ვახტანგ ნაცვლიშვილი

დღეს. ლუქსემბურგი-საქართველო. ამხანაგური მატჩი. 22:00

დემეტრამ საეჭვოა

ლუქსემბურგში უკრაინა დაბვავირავს

ბუშინ, საქართველოს ნაკრებს მზადების ბოლო დღე უქონდა. ლუქსემბურგში ნისლიანი ამინდია, შიგადაშიგ წამოწვიმს კიდევ. იქაური დროით 16 საათზე კლაუს ტომპიოლერმა გუნდი სავარჯიშოდ გაიყვანა. წერტონა, რომელიც საათზე მეტხანს გაგრძელდა, "იოსი ბარტლის" სტადიონზე ჩატარდა. ვარჯიშის დაწყებამდე კი ტომპიოლერმა ადგილობრივი მედიისთვის მინი-პრესკონფერენცია გამართა. მოკლედ ასე იყო:

- რატომ არ გვაქვს უკეთესი შედეგი? ჩვენს ჯგუფში მსოფლიო ფეხბურთის ორი გრანდი, საფრანგეთი და იტალიაა, პლუს ამას, უკრაინა და შოტლანდია. ამითან კარგად კი ვითამაშეთ, მაგრამ ცოტა დაგვაკლდა, რომ ფრისთვის მიგვეწვინა... დანაკლისი? კანკავა,

სალუქვადე და ელიავა ტრავმირებულე-ბი არიან. ჩვენმა მთავარმა მეგოლე შოთა არველაძემ კი სანაკრებო კარიერა დაასრულა.

გიორგი ლომია, რევაზ თევდორაძე, კახა კალაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, ოთარ ხიზანიშვილი, გიორგი შაშიაშვილი, ალექსანდრე ამისულაშვილი, ლევან კობიაშვილი, დავით კვიციანი, ლევან ცქიტიშვილი, მალხაზ ასათიანი, ზურაბ მენთეშაშვილი, დავით მუჯირი, ლალო ბურდული, ალექსანდრე იაშვილი, ლაშა ჯაკობია, ვასილ გიგიაძე, ოთარ მარცვალაძე, გიორგი დემეტრაძე, დავით სირაძე - ეს 20 ფეხბურთელია ტომპიოლერის განკარგულებაში. სამწუხაროდ, ვარჯიშის დროს გიორგი დემეტრაძემ საზარდული დაიზიანა და წერტონს ნადრევად

გამოეთიშა. დღეს მისი თამაში საეჭვოა. ვარჯიშის დასრულების შემდეგ, ტომპიოლერის გუნდმა საკალათბურთო ნაკრებს უქომაგა...

დღეს, "იოსი ბარტლის", ლუქსემბურგი-საქართველოს ამხანაგური მატჩი თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება. თამაშს ჩრდილოირლანდიური თემიდა განსჯის, არბიტრ დევიდ მალკოლმის ხელმძღვანელობით.

შეგახსენებთ, რომ 8 სექტემბერს, მორიგ საკვალიფიკაციო მატჩში, საქართველოს ნაკრები უკრაინას უმასპინძლებს. ჩვენი ინფორმაციით, ლუქსემბურგში ტომპიოლერის გუნდს ოლეგ ბლოხინის ემისარი დახვეწავს. სავარაუდოდ, ეს ოლეგ კუზნეცოვი იქნება.

დავით ცაბაძე

მზად ვართ ყველა მატჩის მოსაგებად!

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი. B ლივიზიონი. C ჯგუფი

ლუქსემბურგი-საქართველო 60:88
8:26, 18:24, 21:19, 13:19

ლუქსემბურგი: შუმბერტი (14 ქ), მელბიორი (7), ფ. პოფმანი, დელგადო (4), შარტი (0), შპიტცი (2), პიკარი (4), რეისენი, პ. პოფმანი (2), მ. რაინიკი (19), ჯოუნსი (4), პ. რაინიკი (4)

საქართველო: გამყრელიძე (11 ნთ, 10 ქ, 3 მ, 1 მ, 3 მ, 1 მ), ელისი (28 ნთ, 10 ქ, 1 მ, 4 მ, 2 მ), ა. ბოისა (10 ნთ), ფაჩულია (31 ნთ, 16 ქ, 5 მ, 1 მ, 1 მ, 1 მ, 7 მ), ცინცაძე (20 ნთ, 8 ქ, 4 მ, 1 მ, 1 მ, 1 მ), სანიკიძე (22 ნთ, 4 ქ, 6 მ, 2 მ, 2 მ, 2 მ), ტულუში (16 ნთ, 3 ქ, 1 მ, 2 მ), მ. მარკოშვილი (27 ნთ, 16 ქ, 2 მ, 1 მ, 2 მ), უგრეხელიძე (7 ნთ, 2 ქ, 2 მ, 1 მ), ნაცვლიშვილი (21 ნთ, 14 ქ, 5 მ, 1 მ, 1 მ, 2 მ), შერმაინი (3 ნთ, 5 ქ, 4 მ, 1 მ), ბაბიაშვილი (4 ნთ)

თუმცა რამდენიმე მათგანს მაინც გამოვარჩევდით. საქართველოს ნაკრებიდან ყველაზე ქულაუზებები იყვნენ ზაზა ფაჩულია და მანუჩარ მარკოშვილი (16-16 ქულა), მატჩის სწრაფი კი გახდა მიხაელ რაინიკი, რომელმაც 19 ქულა მიითვალა. საკმაოდ დამაჯერებელი გახლდათ გუნდის გამოცდილი კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილიც. აქვე აღსანიშნავია ფაჩულიას ერთბაშად 7 შეცდომა. თვალმისაცემია გიორგი შერმაინის 5 ქულა და 4 მოხსნა სულ რაღაც 3 წუთში.

მოკლედ, მეორე წრე დამაჯერებლად გავეხსენით. ვიმედოვნებთ, სეზონს ნაუგებლად დაეასრულებთ და მომავალი წლიდან A ლივიზიონში ვითამაშებთ.

აქვე ისიც ვთქვით, რომ გუშინვე ავსტრიაში მემდგარი ბრძოლა კი გაუმართა ჩვენს უშუალო კონკურენტ ფინეთს, მაგრამ "ქართული საქმე" ვერ გააკეთა და წაგო. ფინეთის ნაკრების ლიდერმა ტემუ რანიკომ 29 ქულა დააგროვა, პანო მოტოლას არ უთამაშია.



ბურდული, კალაძე, დემეტრაძე, კობიაშვილი



მოქააშვილმა შახტიორი ჩაიბარა

უბერსონი მილანში გადავიდა



მსოფლიო
ფეხბურთი
5-8


კალათბურთელთა ნაკრებმა გამარჯვებით დაიწყო ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე წრე. გუშინ, კენ შილდის გუნდი აუტსაიდერ ლუქსემბურგს სტუმრობდა და 28-ქულიანი სხვაობით იმარჯვა.

მატჩი თავიდანვე ქართველ კალათბურთელთა საგრძნობი უპირატესობით დაიწყო და ასევე დამთავრდა. მასპინძლებმა მხოლოდ მესამე პერიოდში გვაჯობეს ორქულიანი უპირატესობით, დანარჩენი ნახევარი საათი კი ჩვენი იყო.

უშუალოდ მატჩის მსვლელობაზე სალაპარაკო ბევრი არაფერია. რაც შეეხება გუნდურ სტატისტიკას, საქართველოს ნაკრებმა ჩააგდო 40-დან 25 ორქულიანი და 14-დან 5 სამქულიანი, ხოლო 34 ჯარიმიდან 23 მოთავსდა ლუქსემბურგელთა კალათში. ამას გარდა, მეტოქე ფარზეც დაეჯახნენ - 30 მოხსნა მასპინძელთა 19-ის წინააღმდეგ.

ნამატჩევს, საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა დავით უსტიაშვილმა ცალკეული კალათბურთელების გამოყოფას თავი აარიდა და ყველა შეაქო.

კობა ხატიასვილი



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენს

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

კალათბურთი

ლაბიონარი ვეთორება სიენელი: ნიკა მეტრეველი



ნიკა მეთრეველი

იზენსში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიას დავარქვით: "სიენაში ვლადიმერ ბოისას ნიკა მეთრეველი შეცვლის". მაშინ ნამდვილად არ გვეგონა, რომ 16 წლის მეთრეველი "მონტეპასკიში" ვივას ადგილს დაიკავებდა. თუმცა სეზონის ნიკა მოსამზადებელი ეტაპი ახალგაზრდა ქართველისთვის იმედიანად დაიწყო - მეთრეველი კარსმომდგარი იტალიის ჩემპიონატისთვის სიენის პირველ გუნდთან ერთად ემზადება. ფართო საზოგადოებისთვის შეიძლება მხოლოდ ნიკას გვარი იყოს უცნობი, დანარჩენები ევროპის ვარსკვლავთა შორის არიან: შონ სტოუნრუკი, ჯიმიტოფ ლავრინოვიჩი, ბეტსი თორნტონი, ვლადო ილიევსკი, ბენიამინ ეზე, რომენ სატო და რიმანსტას კაუკენასი. "მონტეპასკის" ოფიციალურ ვებგვერდზე ერთი მცირე სტატია ნიკა მეთრეველს ეძღვნება. იქ საუბარია ქართველი მეფარის მიერ პარიზში გამართულ NBA-ს კემპზე, MVP-ს ჯილდოს მოპოვებასა და მის პირველ გუნდში მოხვედრის შესახებ: "სადღეისოდ "მონტეპასკიში" 11 კალათბურთელია. დარჩენილ მე-12 ადგილს ახალგაზრდული გუნდის წევრი ნიკა მეთრეველი

ავსებს. სწორედ მასზე იქნება დამოკიდებული მეთრეველს კაცად სეზონის ბოლომდე დარჩება, თუ ახალგაზრდებში დაბრუნდება. მეთრეველს თავის გამოჩენის შანსი სიენელთა წინასასეზონო შეკრებაზე ექნება". იმედი დავიტოვოთ, რომ ნიკა თავს არ შეირცხვენს, თუმცა გული არც იმაზე უნდა დასწყდეს, თუ მომავალ სეზონს "მონტეპასკის" დუბლშემადგენლობაში გაატარებს. სიენელთა მეორე გუნდი ხომ, პირველის მსგავსად, იტალიის ერთ-ერთი გრანდია.

ვაჟა სიმონიშვილი

ჰოლანდიური აგაბი

აზოტისა და საქართველოს ნაკრებისთვის

საქართველოს ჩემპიონმა რუსთავის "აზოტმა" ახალი სეზონისთვის მზადება აგვისტოს დასაწყისში დაიწყო, მაგრამ გუნდი ჯერჯერობით მთავარი მწვრთნელისა და წამყვანი მოთამაშეების გარეშე: დავით უსტიაშვილი ეროვნულ გუნდში კენ შილდს ეხმარება, ხოლო ლაშა გამყრელიძე, კოტე ტულუში, დავით უგრეხელიძე და ანატოლი ბოისა ნაკრების მწვრთნელთა განკარგულებაში არიან. რუსთაველები ეროვნული გუნდის თბილისში ჩამოსვლას ელიან. სწორედ მთავარ მწვრთნელ დავით უსტიაშვილთან ერთად უნდა შედგეს "აზოტის" "კარკასი", რომელიც სრულყოფილ სახეს ოქტომბრისთვის მიიღებს. 30 ოქტომბერს რუსთაველებს ევროპის პირველი შეხვედრა ჰოლანდიურ "ასტრონავტებთან" ელით. სადღეისოდ საუბრობენ გუნდის ერთი-ორი ამერიკელი გაძლიერებაზე, თუმცა კონკრეტული გვარები არ დასახელებულა. "აზოტის" ამსტერდამელმა მეთოქემ კი მოსამზადებელი ციკლის გრაფიკი უკვე შეადგინა. "ასტრონავტები" 8 და 11 სექტემბერს ორ მატჩს შინ ჩაატარებენ, ჯერ ამერიკის კოლეჯის გუნდს მიიღებენ, შემდეგ - "ბრის". 18-დან 20 სექტემბრამდე ბელგიაში შეივლიან და "მონსა" და "ლევენს" გაეჯიბრებიან. 26-27 სექტემბერს კი ჩეხეთში ზედიზედ ორ მატჩს "ნიმბურკთან" გამართავენ. საშინაო შეკრებაზე ამსტერდამელებს ორი ლიდერი დააკლდება - შონ ვესელსი და პეტარ ვან პასენი. ისინი ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებთან ერთად A დივიზიონში გადასვლისთვის იბრძვიან. B ქვეჯგუფიდან ფლეი ოფში გასვლის საუკეთესო შანსი სწორედ ნიდერლანდელებს აქვთ. ისინი B ქვეჯგუფში პირველ ადგილზე არიან (4 მოგება, 1 წაგება). ერთი კონკურენტი 19 აგვისტოს ჩამოიცილეს - ბელორუსს 77:72 მოუგეს, ხოლო მეორე ფავორიტ ბრიტანეთს 29 აგვისტოს მასპინძლობენ. იმ მატჩის მოგების შემთხვევაში ჰოლანდია 90 პროცენტით



ფრანსისკო ელსონი

ფლეი ოფში შეაბიჯებს, სადაც შესაძლოა საქართველოს ნაკრები შეხვდეს. დაინტერესებულ მკითხველს იმასაც ვეცხვით, რომ ბელარუსთა ძლევაში ლომის წილი ნიკა ცქიტიშვილის მეგობარმა ფრანსისკო ელსონმა ("სან ანტონიო") დაიღო - 21 ქულა და 6 მოხსნა ჩაინერა. ხოლო ნაკრების ერთმა "ასტრონავტმა" ვან პასენმა მატჩი ძირითად შემადგენლობაში დაიწყო და 32 წუთში 17 ქულას 8 მოხსნა მიამატა. ვესელსმა 27 წუთში 10 ქულა და 7 მოხსნა ჩაინერა.


ვაჟა სიმონიშვილი

ისტორია



30 წლის წინათ...

ფოტო, რომელსაც დღეს გთავაზობთ, 1977 წელს გადაიღო "ლელოს" ფოტორეპორტიორმა ალექსანდრე კოტორაშვილმა გერმანიის ქალაქ ჰალეში. იმ წელს ჩვენი სახელოვანი მოკრივე დავით კვაჭაძე პირველი ქართველი ევროპის ჩემპიონი გახდა. დათო მაშინ 26 წლის იყო. იმავე წელს მან მეორედ მოიპოვა სსრკ ჩემპიონობა, ორი წლის შემდეგ - მესამედ. მონაწილეობდა მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში. ევროპის რინგზე მიღწეული მაღალი წარმატებისთვის დავით კვაჭაძე 1977 წელს საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა.



კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატის უსარჩევო ეტაპი B დივიზიონი

25 აგვისტო



საქართველო vs ავსტრია

დასაწყისი: 19.00






2 სექტემბერი

საქართველო vs ფინეთი

დასაწყისი: 19.00

სახალსო ბანკი
PEOPLE'S BANK



მკვლევარები

არის რაიმე

25 აპრილს, იაპონიის ქალაქ ოსაკაში მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყო. მომავალ დიდ სპორტულ ფორუმზე უკვე დაწყდება ერთი მსოფლიო რეკორდი.

კალთბურთი

გუგონი და ღირსება

"პიუსტინის" ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ვეტერანი ცენტრალური თავდაცვითი დივიზიონის კალთბურთის თავს არ დაანებებს და კიდევ ერთი წლით გააგრძელებს კლუბთან კონტრაქტს.

მაიამის არხისი უნდა

ამერიკული პრესის ინფორმაციით, "მაიამი ჰიტს" და "საკრამენტო კინგს" შორის დიდი გაცვლა იგეგმება. მაიამელეებს "მეფეების" ლიდერის, რონ არტესტის გადაბირება სურთ და მის სანაცვლოდ მზად არიან რამდენიმე კალთბურთელს შეეცადონ.

იასაიტისი ბაზისი ნაილა

ახალი სეზონისთვის ესპანეთის "ტაურესმა" კიდევ ერთი ძლიერი კალთბურთელი დაიმატა. ეს გახლავთ ლიტვის ნაკრების მცველი სიმას იასაიტისი, რომელიც შარშან თელ-აივის "მაკაბის" ლიდერს იცავდა.

პირველს ნაკრების ფორმირება

პოლონის "ვიტეუსმა" იტალიის ნაკრების ფორმირება დაიწყო. "გაქცევა დელო სპორტის" ინფორმაციით, კალთბურთელმა ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

პოეზი

სელიანო რეკორდი

სტანლის თასის მფლობელის, "ანაჰიმ დაქსის" ფინელმა ვეტერანმა ტევემ სელიანომ ორი კვირის განმავლობაში უნდა გადაწყვიტოს, გააგრძელებს თუ არა მოთამაშის კარიერას.

ბელარუსი მხარეთი მიღის

პოლონის ეროვნულ ლიგას ეთხოვება ლეგენდარული მეკარე ედ ბელფორი. ამ დღეებში 42 წლის გოლკიპერი კონტრაქტს გააფორმებს შვედეთის ლიგაში მოთამაშე "ლექსანდთან".

კინგსმა ვეტერანი მხარეთი მიღება

"ლოს ანჯელის კინგსმა" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა მცველ ჯონ კლემთან. ხელშეკრულების დეტალები პრესისთვის უცნობი დარჩა.

როგორც

პენანი სპორტული ნაწილი

პრეტენდენტ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ტიმ ჰემანმა შესაძლოა ამ სეზონის მსვლელობისას გადაწყვიტოს დიდი როგორც დაიწყო. უფრო ადრე ვიდრე ეს მოხდება დევისის თასზე პრეტენდენტისა და ხორვატის ნაკრებთა შეხვედრის შემდეგ, რომელიც 21-23 სექტემბერს გაიმართება.

აშშ-ის ლია პირველობა

ესაზ განთავსილება

მომავალ ორშაბათს "დიდი სლემის" ბოლო, რიგით მეოთხე ტურნირი დაიწყება - ბილი ჯინ კინგის ეროვნულ საჩოგბურთო ცენტრში აშშ-ის ლია პირველობა აიღებს სტარტს.

სა ტურნირზე პირველ ნომრად, 26 წლის ჩოგბურთელს ნლეულს 5 ტურნირი აქვს მოგებული. მათ შორის გასულ კვირას ცინცინატიის მასტერსზე იმარჯვა და ეს როჯერისთვის 50-ე ტიტული აღმოჩნდა კარიერაში.



როჯერ ფედერერი



უსტინ ანენი

Table with 2 columns: მამაკაცები (Men) and ქალები (Women). Lists top 32 players for ATP and WTA.

ტურნირები

Table listing tennis tournaments: ATP Pilot Pen Tennis, WTA Pilot Pen Tennis, and ATP Pilot Pen Tennis. Includes dates and locations.

მთავარი რედაქტორი

თავმჯდომარე: ვახტანგ მარტოვიძე.
რედაქტორი: ვახტანგ მარტოვიძე.
მხარეობის მენეჯერი: ვახტანგ მარტოვიძე.

ტექნიკური რედაქტორი: გიორგი მარტოვიძე.
მხარეობის მენეჯერი: ვახტანგ მარტოვიძე.

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი".

სპორტი

გამოვიდა 2002-06 წლებში.
ლოლოს მთავარი რედაქტორი: გიორგი მარტოვიძე.

მისამართი: ანდრეასის 10, 0159 თბილისი.
ელ-მეილი: sport@sport.ge.